დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ოქტომბერი, 2022

შეხვედრა ქ. ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციასთან

1 ოქტომბერს, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, გიორგი ჯანჯღავას მოწვევით, საელჩოს ეწვია ქ. ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის ბაზაზე მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლი. ღონისძიებაზე, ხსენებული შემოქმედებითი კოლექტივის ახალი თაობის წარმომადგენლებმა, ქართული ხალხური ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ნიმუშები შეასრულეს.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ელჩმა, ასევე, შეხვედრა გამართა თურქეთის მარმარილოს რეგიონის ქართული ასოციაციების ფედერაციის თავმჯდომარესთან, ომერ ფარუქ დემირთაშთან, ქ. ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის თავმჯდომარესთან, მენნან ფორთაქალთან და ხსენებული ასოციაციის მმართველთა საბჭოს წევრებთან.

შეხვედრაზე გიორგი ჯანჯღავამ ყურადღება გაამახვილა ქართული დიასპორის და სახალხო დიპლომატიის მნიშვნელოვან როლზე და ასოციაციის მესვეურებს მადლობა გადაუხადა, ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

ამასთან, საქართველო-თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ელჩმა მადლიერების ნიშნად, ქ. ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის ბაზაზე მოქმედ ქორეოგრაფიულ ანსამბლს სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელიც ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის დაარსების დღიდან მოქმედებს, არაერთი ადგილობრივი კულტურული ფესტივალის გამარჯვებულია. ანსამბლი, რომელსაც ამ ეტაპზე, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის 100-მდე აღსაზრდელი ჰყავს, აქტიურად ეწევა ქართული კულტურის პოპულარიზაციას თურქეთში.

აფხაზეთის ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩატარდა ვენაში

2 ოქტომბერს, ქ. ვენაში ავსტრიაში ქართული სათვისტომის ორგანიზებით, ვენის წმინდა კეთილმსახურ მეფე დავით აღმაშენებლის სამრევლოში, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულ მეომართა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩატარდა.

პანაშვიდს ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში ქეთევან ციხელაშვილი და საელჩოს წარმომადგენლები.

იუსტიციის მინისტრის შეხვედრა ქართულ დიასპორასთან დუბლინში

2 ოქტომბერს, ქ. დუბლინში, საქართველოს იუსტიციის მინისტრი, რატი ბრეგაძე, ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, გიორგი ზურაბაშვილთან ერთად ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა და უწყების ახალი ინიციატივები გააცნო.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო დიასპორასა და სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობებსა და საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების ინტერესებზე მორგებულ საკანონმდებლო ცვლილებებს და პროექტებს.

ირლანდიაში მცხოვრებმა ქართველებმა კმაყოფილება გამოთქვეს პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების საფასურის შემცირებასთან დაკავშირებით.

რატი ბრეგაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, მზადდება საკანონმდებლო ინიციატივა, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს დიასპორის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

იუსტიციის მინისტრი, ასევე, დუბლინში ქართულ საკვირაო სკოლას ეწვია და მის მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

წიგნის ,,ოქროს საწმისის'' იტალიურენოვანი გამოცემის პრეზენტაცია მილანში

ქ. მილანში მოქმედი ქართულ-იტალიური კულტურული ასოციაცია „მერანის“ ორგანიზებით ქართველი მწერლის, თემურ კილაძის წიგნის ,,ოქროს საწმისის'' იტალიურენოვანი გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიება გახსნა ასოციაცია „მერანის“ პრეზიდენტმა და იტალიაში ქართული ინტერნეტ ტელევიზია MeraniTV-ის დამაარსებელმა და პრეზიდენტმა მელი თურმანიძემ. ღონისძიებას უძღვებოდა პროფესორი და მუსიკოსი ანტონიო ჯარლეტა. წიგნი განიხილა მწერალმა კლაუდია ლო ბლუნდომ.

საღამო მუსიკალურად გააფორმა ფლორენციიდან მოწვეულმა ქართველმა ტენორმა, ნიკოლოზ გორგოძემ და ანტონიო ჯარლეტამ.

პრეზენტაციას დაესწრო თარჯიმანი ნანა კაკოჩაშვილი და ნინო ბერბერაშვილი, რომლებიც მწერლის ახალი ნაწარმოების ,,ერთუჯრედიანი სიყვარულის“ თარგმანზე მუშაობენ.

,,სახალხო ზეიმი” სტამბოლში

3 ოქტომბერს, თურქეთის ქ. სტამბოლის ბეიქოზის ბათუმის ქართული კულტურის ასოციაციის მიერ, ორგანიზებულ იქნა ,,სახალხო ზეიმი”, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მუსიკალურმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა. ღონისძიების ფარგლებში, აღნიშნულმა ანსამბლებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ქართული ხალხური ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ნიმუშები. ამასთან, ღონისძიების ფარგლებში, ასოციაციის მიერ გაიხსნა ქართული სტენდი, სადაც წარმოდგენილი იყო საინფორმაციო ბროშურები საქართველოს შესახებ, ასევე, ქართული ეროვნული სამოსი, ქართული კერძები და გამაგრილებელი სასმელები.

ღონისძიების მიმდინარეობისას, ორგანიზატორებმა, დამსწრე საზოგადოებას გააცნეს თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანაგებო და სრულუფლებიანი ელჩის, გიორგი ჯანჯღავას მიმართვა, რომელშიც, მან ყურადღება გაამახვილა ქართული დიასპორის და სახალხო დიპლომატიის მნიშვნელოვან როლზე და ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წევრებს მადლობა გადაუხადა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისთვის და უსურვა წარმატებები, შემდგომ საქმიანობაში. ღონისძიებას ესწრებოდნენ თურქეთის მასშტაბით მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წევრები, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

დავით დონდუას შეხვედრა ქ. ათენის 50-ე საშუალო სკოლის პედაგოგებთან

5 ოქტომბერს, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დავით დონდუამ, ქ.ათენის 50-ე საშუალო სკოლის დირექტორს და ქართველ პედაგოგებს მასწავლებლის საერთაშორისო დღე მიულოცა.

50-ე საშუალო სკოლაში უკვე წლებია წარმატებით მიმდინარეობს ქართული ენის სწავლების პროგრამა, რომლის ფარგლებში ამევე სკოლის ორმოცი მოზარდი თანამემამულე ეუფლება ქართულ ენას.

საქართველოს ელჩმა მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორს, ევანგელოს მოკოსს, გაწეული მხარდაჭერისთვის და თანამშრომლობისთვის.

დავით დონდუამ ქართული ენის პედაგოგებს, მადონა ჯავახიშვილსა და ხათუნა ლობჯანიძეს გულითადად მიულოცა პროფესიული დღე. მადლიერება გამოხატა იმ ფასდაუდებელი წვლილისთვის, რომელიც ქართველ პედაგოგებს შეაქვთ სამშობლოსაგან მოშორებით მცხოვრები მოაზრდების განათლების, მათთვის მშობლიური ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის შესწავლაში და ამით ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში.

საქართველოს ელჩმა სკოლის მოსწავლეებს წარმატებული სასწავლო წელი უსურვა და საჩუქრად გადასცა ქართული წიგნები.

ქართული ფოლკლორი პარიზის მონმარტის რთველის ფესტივალზე

8 ოქტომბერს, პარიზში მოქმედმა ასოციაციამ - ქართველთა კულტურის კერა „ლაზმა“ მონაწილეობა მიიღო ქ. პარიზის მონმარტის რთველის ფესტივალში.
მონმარტის ფესტივალში ხსენებულ დიასპორულ ორგანიზაციასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლაზი“, წელს მე-13 ჯერ მიიღო მონაწილეობა და დღესასწაულზე დამსწრე საზოგადოებას ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ცეკვები წარუდგინა.

„თბილისობა 2022“ ნიო იორკში

9 ოქტომბერს, ქალაქ ნიუ-იორკში, ქართული კულტურის ცენტრ „ფესვების“ ორგანიზებით, თბილისობის დღესასწაული აღინიშნა.
„თბილისობაზე“ გაიმართა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები, ქართული ხალხური შემოქმედების კონცერტები.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აშშ-ში მოქმედმა დიასპორულმა ორგანიზაციებმა: ქართული კულტურის ცენტრი „Dancing Crane“, შ. რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრი, „Irina Dance Academy“ - ის, „AG ballet school“, „Ballet House“, მუსიკის ჰანგები“ და ასევე ქართული საჭიდაო კლუბები და საფეხბურთო სკოლები.

კულტურული გაერთიანებების აღსაზრდელებმა, „თბილისობის“ ფარგლებში გამართულ კონცერტზე, ქართული ხალხური ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ნიმუშები წარადგინეს, ხოლო აშშ-ში მცხოვრებმა ქართველმა მომღერლებმა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების სიმღერები შეასრულეს.
ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ აშშ-ში მცხოვრები ქართველი ხელოვანების შემოქმედება, მათ შორის იყო ხელნაკეთი ნივთები ქართული ელემენტებით.

კულტურული ასოციაცია „ვიქტორია“ დაფუძნდა ბარიში

9 ოქტომბერს, იტალიის ქალაქ ბარიში მცხოვრები თანამემამულეების ინიციატივით ახალი დიასპორული ორგანიზაცია - კულტურული ასოციაცია „ვიქტორია“ ოფიციალურად გაიხსნა. ასოციაცია მიმდინარე წლის 8 ივნისს დაფუძნდა, რომელსაც ხელმძღვანელობს ვიქტორია ცუხიშვილი. კულტურულ ასოციაციაში ქართველი ბავშვებისთვის ქართული ენის და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, ინგლისური და იტალიური ენების გაკვეთილები ჩატარდება.

ასოცაიციის ოფიციალურ გახსნას ესწრებოდნენ ქ. ბარის გენერალური საკონსულოს წარმომადგენელი, ვიცე-კონსული, ხატია ჭელიძე და ქართული დიასპორის წევრები.

თბილისობა ბარსელონაში

9 ოქტომბერს, ქ. ბარსელონაში, წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ინიციატივით და ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს ხელშეწყობით, „თბილისობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაზე, ორგანიზატორებმა დამთვალიერებლებს შესთავაზეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამსახველი ინსტალაციები, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს რეგიონების კულტურას და ადგილობრივ სამზარეულოს, ასევე ქართული ღვინის წარმოების ისტორიას.

„თბილისობის“ ფარგლებში გაიმართა საზეიმო კონცერტი, სადაც წარმოდგენილი იყო ქ. ბარსელონაში მოქმედი ქართული ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედება, მათ შორის „წმინდა ანთიმოზ ივერიელის“ სახელობის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოდან ჩასული დელეგაცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვლადიმერ კონტანტინიდის ხელმძღვანელობით, ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული, ალექსანდრე ჭკუასელი და ქართული დიასპორის 1000-მდე წარმომადგენელი.

„თბილისობა“ ტალინში

9 ოქტომბერს, ტალინში ქართული საკვირაო სკოლის „მზიური" ორგანიზებით ტრადიციული დღესასწაული „თბილისობისადმი" მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

საკვირაო სკოლის მოსწავლეები გაეცნენ ამ დღესასწაულის დაარსების ისტორიას, რომელიც არის სიმბოლო უხვმოსავლიანობისა, ბარაქისა და ნაყოფიერების და აგრეთვე რომელიც წარმოაჩენს ქართველი ხალხის კულტურას.

შტუტგარტში ქართული ცეკვის სტუდია გაიხსნა

10 ოქტომბერს, ქ. შტუტგარტში მოქმედი ორგანიზაციის - ხელოვნებისა და მუსიკის საზოგადოების ხელმძღვანელების, ანა ნანუაშვილისა და ბესო ნამჩევაძის ინიციატივით და ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, ქართული ცეკვის შემსწავლელი სტუდია გაიხსნა.

სტუდიას ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ ყოფილი სოლისტი, მარიამ ფრიდონიშვილი უხელმძღვანელებს, რომელმაც სტუდიის გახსნის ღონისძიებაზე საჩვენებელი გაკვეთილი ჩაატარა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს გენერალური კონსული ლევან ღვაჩლიანი, კონსული ზაქარია მეგრელიშვილი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ქართული კულტურის ფესტივალი თესალონიკში

11 და 13 ოქტომბერს, ქ. თესალონიკში, ქართული კულტურის ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს გენერალურ საკონსულოში გაიმართა თესალონიკში მცხოვრები ქართველი მხატვრების ლეილა როშკის, რუმინ და ანა ფალავანდიშვილების ნამუშევრების გამოფენა. დამთვალიერებლის წინაშე წარმოდგენილი იყო მხატვრების მიერ სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართა გიული სიყმაშვილის პოეზიის საღამო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები და საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლები.

ქართული ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა ჰაგაში

2022 წლის 12 ოქტომბერს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა ქართული ტრადიციული ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენას სახელწოდებით „ოქროს საწმისი“. გამოფენის თანაორგანიზატორები იყვნენ ამსტერდამში ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის, თიკა სვანიძე-ვენკოს მიერ საქართველოში დაფუძნებული სამკაულების კომპანია „თინათინი“ და პროფესიონალი დიზაინერ-იუველირი, ჯაბა ლეპერტი.

ქართული მემკვიდრეობის ფონდის საიუბილეო ღონისძიება სან-ფრანცისკოში

12 ოქტომბერს, ქ. სან-ფრანცისკოში, ჩრდილოეთ კალიფორნიაში ქართული მემკვიდრეობის ფონდის დაარსების ორი წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა. ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები შეიკრიბნენ TBS Design Gallery-ში. ფონდის ხელმძღვანელმა ლიანა ნიცეცკაიამ, ფონდის ორწლიანი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ ისაუბრა.
ღონისძიებას საქართველოს გენერალური საკონსული, ლევან ბერიძე ესწრებოდა. მან ფონდს დაარსების

ორი წლის იუბილე მიულოცა და ისაუბრა ჩრდილოეთ კალიფორნიაში ქართული საზოგადოების გაერთიანების მნიშვნელობაზე და ქართული საკვირაო სკოლის როლზე, რომელიც აძლევს შესაძლებლობას ქართველ ბავშვებს შეინარჩუნონ ქართული ენა, ისწავლონ საქართველოს ისტორია, კულტურა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დაამყარონ კავშირი სამშობლოსთან.
ღონისძიებაზე ასევე წარმოდგენილი იყო ცნობილი ქართველი დიზაინერის მეგი გაბუნიას ნამუშევრების გამოფენა, ასევე მოეწყო „ცვარა“-ს და „კებზარი“-ს ბრენდების ექსპოზიცია.

თბილისური დღეები მილანში

15-17 ოქტომბერს, ქართული ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, მილანში დაფუძნებულმა ქართულ-იტალიურმა კულტურულმა ასოციაციამ „MilaniumM&T“ ღონისძიება „თბილისური დღეები მილანში“ გამართა.
დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ქართველი მხატვრებისა და დიზაინერების ნამუშევრების გამოფენა; გაიმართა საინტერესო შეხვედრები ქართველ ენათმეცნიერებთან და მთარგმნელებთან, მათ შორის ქ. მილანში მოქმედი ასოციაციის „სამშობლო გულით სატარებლის” პრეზიდენტის, პოეტისა და მთარგმნელის, ნუნუ გელაძისა და კალიგრაფისა და პოეტის, გიორგი სისაურის კოლაბორაცია - პოეტური კრებულის წარდგენა.

ნუნუ გელაძემ მიმოიხილა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო გიორგი სისაურის შემოქმედება იტალიურ ენაზე. შვეიცარიაში მცხოვრებმა ქართველმა ენათმეცნიერმა, მანანა ტოფაძე გოიმანმა ისაუბრა ქართული დამწერლობის - „ანბანის წარმომავლობა და მისი განვითარების საფეხურები” შესახებ.
„თბილისური დღეები მილანში“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის - „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ მხარდაჭერით ჩატარდა.

დავით ზალკალიანის შეხვედრა ჩრდილოეთ კალიფორნიაში მცხოვრებ თანამემამულეებთან

16 ოქტომბერს, კალიფორნიის შტატში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში, დავით ზალკალიანი ჩრდილოეთ კალიფორნიაში მცხოვრებ თანამემამულეებს შეხვდა.
შეხვედრა ქ. სან ფრანცისკოში საქართველოს გენერალური კონსულის ლევან ბერიძის და დიასპორული ორგანიზაციის „საქართველოს მემკვიდრეობის ფონდის“ დამფუძნებლის ლიანა ნიცესკაიას ინიციატივით TBS Design Gallery-ში გაიმართა.

საქართველოს ელჩმა დიასპორულ ორგანიზაციას ორი წლის იუბილე მიულოცა და აღნიშნა, რომ დიასპორის აქტიური ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზნების, ევროპული და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის მიღწევის პროცესში.
დავით ზალკალიანმა მადლობა გადაუხადა კალიფორნიაში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ საკუთარ ქვეყანას და აღნიშნა, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ვაშინგტონში საელჩოს და სან ფრანცისკოში გენერალური საკონსულოს კარი მუდამ ღიაა საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის.

სვეტიცხოვლობა ფილადელფიაში

18 ოქტომბერს, აშშ-ში პოკონოს დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში, ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ეპისკოპოსის, მეუფე საბას და პენსილვანიის შტატში მცხოვრები ქართული დიასპორის წევრების ორგანიზებით „სვეტიცხოვლობის" დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
ტრადიციულად სტუმრებმა დაწურეს ყურძენი, მოადუღეს თათარა, ამოავლეს ჩურჩხელები.
ღონისძიებას აშშ-ში საქართველოს საელჩოს დესპანი ხათუნა კვესელავა და საელჩოს თანამშრომლები დაესწრნენ.

ქართული მემკვიდრეობის ფონდის საიუბილეო ღონისძიება

18 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში Vrije Universiteit Brussel-ში, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, ალექსანდრე ქიზიყურავილის ორგანიზებით ჩატარდა ქართული კულტურისა და ღვინის საღამო.
ღონისძიებას ესწრებოდენ ქართველი და უცხოელი სტუდენტები, აგრეთვე ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს წარმომადგენლები.

გიორგი ლობჟანიძის პოეტური კრებულის წარდგენა მილანში

23 ოქტომბერს, ქ. მილანში საზოგადოებამ - „სამშობლო გულით სატარებელი“ ქართველ პოეტს, მწერალს, მთარგმნელს, აღმოსავლეთმცოდნესა და თსუ-ის პროფესორს გიორგი ლობჟანიძეს უმასპინძლა.

ავტორმა გამომცემელ ჯულიანო ლადოლფისა და სათვისტომოს ხელმძღვანელსა და მთარგმნელ ნუნუ გელაძესთან ერთად მილანელი მკითხველის წინაშე საქართველოს მწერალთა სახლის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული პოეტური კრებული “Nelle rovine del sogno” – „სიზმრის ნანგრევებში“ წარადგინა. წიგნის პრეზენტაცია ასევე გაიმართა იტალიის შემდეგ ქალაქებში: ნაპოლი, ბარი, რომი.

შეხვედრას ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპორტული ღონისძიება „გეორგიადა“ ქ. სოჭში

22-24 ოქტომბერს, ქ. სოჭში შოთა რუსთაველის სახელობის ქართველთა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის ხელმძღვანელის, ვლადიმერ გეგეჭკორის ორგანიზებით სპორტული ღონისძიება „გეორგიადა“ ჩატარდა.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა საფეხბურთო მატჩი, რომელშიც სხვადასხვა ქალაქებში მოქმედ ქართულ სათვისტომოებთან არსებულმა ფეხბურთის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. ასევე გაიმართა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში.

სპორტული ღონისძიება ქ. სოჭის ქართული ცეკვის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „როკვა“-ს

მოცეკვავეებმა გახსნეს და დამსწრე საზოგადოებას ქართული ეროვნული ცეკვები წარუდგინეს. ანსამბლ „როკვა“-ს სამხატვრო ხელმძღვანელს, ემზარ ბერეკაშვილს საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენი გადაეცა.

სპორტული ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა ფორუმი ქართული დიასპორული ორგანიზაციების მონაწილეობით, სადაც იმსჯელეს განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

ღონისძიებებს რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის კონსული, სოზარ კვინჩია ესწრებოდა.

საქველმოქმედო საღამო ქ. ათენში

23 ოქტომბერს, ქ. ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციებისა და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ქართულ-ბერძნული კულტურის დღე გაიმართა, რომელიც საქვემლოქმედო ხასიათს ატარებდა.

ღონისძიებაზე ქართულმა და ბერძნულმა ქორეოგრაფიულმა და ვოკალურმა ანსამბლებმა სხვადასხვა მუსიკალური და საცეკვაო ნომრები წარმოადგინეს.

სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ და ბერძნულ სამზარეულოს, ასევე ქართული ღვინის წარმოების ისტორიას და კულტურას.

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ოქტომბერი, 2022

ამასთან, ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი სუვენირები, წიგნები, ფერწერული ტილოები. ღონისძიების ფარგლებში, ასევე გაიმართა სპორტული ასპარეზობები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ღალაცის მუნიციპალიტეტის მერი, ათენში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, ათენის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები, ასევე ქართველი და უცხოელი სტუდენტები, ადგილობრივი ჟურნალისტები და ქართული დიასპორის წარმამადგენლები.
ღონისძიების ფარგლებში შემოსული თანხა გადაერიცხება საქართველოს სოლიდარობის ფონდს და მოხმარდება სიმსივნით დაავადებული ბავშვების მკურნალობას.

საქველმოქმედო ღონისძიება დუბლინში

23 ოქტომბერს, ირლანდიაში საქართველოს საელჩომ და ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ (ხელმძღანელი ლელა შურუპოვა) მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო საქველმოქმედო ბაზარში, რომელიც დუბლინში ყოველწლიურად იმართება დიპლომატიური კორპუსის ორგანიზებით.
ღონისძიებაზე საქართველოს საელჩომ წარმოადგინა ქართული კუთხე, ღვინითა და ტრადიციული ქართული კერძებით. საქართველოს საელჩო საქველმოქმედო ბაზარში ყოველწლიურად მონაწილეობს და ქართული კუთხე ირლანდიელი და უცხოელი სტუმრების დიდი მოწონებით სარგებლობს.

სტუდენტური კონფერენცია „საბჭოთა/რუსული პროპაგანდა: ლიეტუვური/ ქართული პერსპექტივები“ ქალაქ კაუნასში

27 ოქტომბერს, ქალაქ კაუნასში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, მაკა ბერულავას ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური კონფერენცია "საბჭოთა/რუსული პროპაგანდა: ლიეტუვური/ ქართული პერსპექტივები".
კონფერენციის მიზანი ქართველი და ლიეტუველი სტუდენტების სამეცნიერო მიმართულებით თანამშრომლობის ხელშეწყობა, კვლევითი გამოცდილებისა და ნაშრომების გაზიარება და სამომავლო გეგმების დასახვა გახლდათ.

კონფერენციის პირველმა გამომსვლელმა, ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გიედრიუს იანაუსკასმა, რეგიონალური კვლევების დეპარტამენტიდან, საბჭოთა ოკუპაციისა და პროპაგანდის ისტორიული კონტექსტის შესახებ ისაუბრა.
კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე ლიეტუველი, უკრაინელი და იტალიელი სტუდენტები, როგორც პოლიტიკური მეცნიერების, ასევე სოციალური ანთროპოლოგიის, ისტორიისა და სამართლის ფაკულტეტებიდან.
კონფერენციის დასასრულს სტუდენტებმა ისაუბრეს სამეცნიერო მიმართულებით თანამშრომლობის სურვილსა და აუცილებლობაზე.

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ოქტომბერი, 2022

„თბილისობა“ ციურიხში

28-30 ოქტომბერს, ქ. ციურიხში, ასოციაცია ,,GeoHouse Swiss'' ინიციატივით და კუნძულ მალტაზე დაარსებული ,,VIPR/ვიპიარ'' ჯგუფის თანაორგანიზებით შემოდგომის ფესტივალი ,,თბილისობა 2022'' ჩატარდა.
ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიება გაიმართა, მათ შორის ცნობილი ქართველი ჯაზ-მომღერლის, მაია ბარათაშვილის კონცერტი და ქართული ღვინის დეგუსტაცია.
ფესტივალი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის ,,დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის'' პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

შემოდგომის დღესასწაული მადრიდში

29 ოქტომბერს, ქ. მადრიდში ქართულ საკვირაო სკოლაში „ბეღურა“ შემოდგომის დღესასწაული გაიმართა.
სკოლის აღსაზრდელებმა დამსწრე აუდიტორიას წარუდგინეს თეატრალური წარმოდგენა. საკვირაო სკოლასთან დაარსებულმა ცეკვის წრემ შეასრულა ქართული ცეკვები, გაჟღერდა ქართული პოეზია და საბავშო-საესტრადო სიმღერები.
ღონისძიების მსვლელობისას გაიმართა ტრადიციული საშემოდგომო რიტუალი მოსავლის აღებასთან დაკავშირებით, სადაც როგორც სკოლის მოწაფეებს, ასევე დამსწრე სტუმრებს საშუალება ჰქონდათ თავად დაემზადებინათ ქართული ტრადიციული ნუგბარი - ჩურჩხელა და დაეგემოვნებინათ ქართული სამზარეულოს კერძები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2022 წლის გამარჯვებული, ნატალი ჩხიტუნიძე და ესპანეთის სხვადასხვა სასწავლებლების ქართველი სტუდენტები, რომლებმაც დაასაჩუქრეს საკვირაო სკოლის აღსაზრდელები.

ასოციაცია GIMPHA საიუბილეო შეკრება ჰაგაში

29 ოქტომბერს, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩომ, ქ. ჰაგაში დიასპორული ორგანიზაციის - „ქართული საერთაშორისო სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაცია (GIMPHA)“ ყოველწლიურ შეკრებას უმასპინძლა, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ კონსტანტინიდი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური და ცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს უფროსი ლიანა ჭუმბურიძე დაესწრნენ.

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ოქტომბერი, 2022

ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე პროექტები, იმსჯელეს საქართველოს ჯანდაცვის სფეროს განვითარებაში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი პროფესიონალების პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობებსა და სამომავლო გეგმებზე.
აღსანიშნავია, რომ ქართული საერთაშორისო სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაცია (GIMPHA) 2012 წელს დაარსდა. ეს არის ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და პარტნიორობას უწევს საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ არაერთ დაწესებულებას. ის აერთიანებს ქართველ ექიმებს მთელი მსოფლიოდან, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ.

ასოციაცია GIMPHA საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოში კოლეგებთან ერთად მუშაობს პროექტზე, რომლის ფარგლებში იგეგმება უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექიმების უფრო მეტად ჩართვა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში. ქ. ჰააგაში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 50-მდე მედიკოსმა და სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელმა, ისევე როგორც სამედიცინო სასწავლო ცენტრების და უნივერსიტეტების ხელმძღვანელებმა და სხვა ოფიციალურმა სტუმრებმა.

შინდისის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნას

30 ოქტომბერს, ქ. ათენში, მოსახატოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში, 2008 წლის ომში შინდისის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
საღამოს ორგანიზატორი იყო ქართველი ემიგრანტი, ქალთა ვოკალური ჯგუფის „მაგნოლიას“ დამფუძნებელი ქეთევან ძაძამია.
ღონისძიებას საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქველმოქმედო კონცერტი დუბლინში

30 ოქტომბერს, ქ. დუბლინში დიასპორული ორგანიზაციის „ქართული დიასპორა ირლანდიაში“, საქართველოს საელჩოს თანაორგანიზებით და საქართველოს სოლიდარობის ფონდის მხარდაჭერით, ონკოლოგიურ დაავადებათა მქონე პატარა თანამემამულეების დასახმარებლად საქველმოქმედო ღონისძიება სახელწოდებით "ქართული მუსიკა".

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ირლანდიაში გიორგი ზურაბაშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ კონსტანტინიდმა, სოლიდარობის ფონდის დირექტორმა ეკატერინე ფესტვენიძემ, დუბლინის მერის მოადგილემ ჯონა ტუფიმ და ირლანდიაში ქართული დიასპორის ხელმძღვანელმა ლელა შურუპოვამ.
ღონისძიების ფარგლებში გამართულ საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა სოლიდარობის ფონდს გადაეცემა და ონკოლოგიურად დაავადებული ბავშვების მკურნალობას მოხმარდება. საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობა მიიღო მომღერალმა საქართველოდან ლაშა ღლონტმა და ფოლკლორულმა ბენდმა "კავკასიონი".

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ოქტომბერი, 2022

ონლაინ ლექცია „ახალგაზრა ელჩის“ ორგანიზებით ტალინში



30 ოქტომბერს, ქ. ტალინში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის“ 2022 წლის გამარჯვებულის, გიორგი მჭედლიძის ორგანიზებით, ონლაინ ლექცია კიბერუსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევების თემაზე ჩატარდა, რომელსაც ბალტიის თავდაცვის კოლეჯის ლექტორი - შოთა ღვინერია წარუძღვა. ლექციას დაესწრნენ ესტონეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები.

აღნიშნული ლექცია პროექტის, „ციფრული განათლება კიბერუსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში გაიმართა. პროექტი ამერიკული კუთხის ორგანიზებითა და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.

რთველის დღესასწაული პარიზში

30 ოქტომბერს, პარიზში, წმ.თამარ მეფის სახელობის სამრევლოს ორგანიზებით, ლევილის ქართულ მამულში რთველის დღესასწაული გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოჩენილი იყო ქართული ადათ-წესები, კულტურა და ქართული სამზარეულო. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წმ. თამარ მეფის ტაძრის გუნდმა „თამარიონი” და საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა.
ღონისძიებას ქართველი ემიგრანტები საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ესწრებოდნენ.

საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალი ბურსაში

3 სექტემბერს, საქართველოს ელჩი, გიორგი ჯანჯღავა, ბურსის რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, დაესწრო საელჩოს მხარდაჭერით, ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და სოლიდარობის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადგილობრივი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ბაზაზე მოქმედი ანსამბლები, ასევე, საქართველოდან მიწვეული შემოქმედებითი კოლექტივები.

საქართველოს ელჩმა, ფესტივალზე სიტყვით გამოსვლისას, ყურადღება გაამახვილა ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლზე საქართველოს განვითარების და ქვეყნის პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში და აღნიშნა, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს მთავრობის და საგარეო საქმეთა სამინისტროს, შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

გიორგი ჯანჯღავამ, ასევე, წარმატება უსურვა ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და სოლიდარობის ასოციაციასა და ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების მესვეურებს და აღუთქვა მხარდაჭერა, სამომავლოდ, ორი ქვეყნის საკეთილდღეოდ განხორციელებულ საქმიანობაში.

ამასთან, ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს ელჩმა მონაწილეობა მიიღო ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და სოლიდარობის ასოციაციის ორგანიზებით, ქალაქის ქუჩებში გამართულ, ადგილობრივი ქართული დიასპორული ასოციაციების ბაზაზე მოქმედი და საქართველოდან მოწვეული ქორეოგრაფიული ანსამბლების სახალხო კოსტიუმირებულ მსვლელობაში.

კულტურული ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს ელჩმა, ასევე, შეხვედრები გამართა თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილესთან, ზაფერ იშიქთან, ასევე, ბურსის მერთან, ალინურ აქთაშთან, ორჰანგაზის მერთან, ბექირ აიდინთან, გემლიქის მერთან უღურ სერთანთან, მმართველი პარტიის ორჰანგაზის დეპუტატებთან, მარმარილოს რეგიონის ქართული დიასპორული ასოციაციების ფედერაციის თავმჯდომარესთან, ომერ ფარუქ დემირთაშთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან.

შეხვედრებზე, მხარეებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზაობა, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი კულტურული პროექტების განხორციელების მიმართულებით.

საქართველოს ელჩმა, თურქულ მხარეს მადლობა გადაუხადა ბურსის რეგიონში არსებული ქართული კულტურისა და ხელოვნების ასოციაციების მხარდაჭერისა და მათი აქტიური საქმიანობის ხელშეწყობისათვის.

აღსანიშნავია, რომ ორჰანგაზის კავკასიური კულტურისა და სოლიდარობის ასოციაციის დაარსების დღიდან - 1995 წლიდან, მოქმედებს ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელსაც ამ პერიოდის განმავლობაში, არაერთ კულტურულ ფესტივალში აქვს მონაწილეობა მიღებული. ანსამბლი, რომელსაც ამ ეტაპზე, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის 170-მდე აღსაზრდელი ჰყავს, აქტიურად ეწევა ქართული კულტურის პოპულარიზაციას თურქეთში.

ქართული პოლიფონიის კონცერტი ფლორენციაში

18 სექტემბერს, ქ. ფლორენციაში, ქართულ-იტალიური კულტურული ასოციაცია „იბერიას“ ორგანიზებით ქართული პოლიფონიის კონცერტი გაიმართა. კონცერტში ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებული ანსამბლი ,,ნანილა” მონაწილეობდა.

ასოციაცია “იბერია”-ს პრეზიდენტი მარინა ქევხიშვილი დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა ქართული პოლიფონიის მნიშვნელობაზე მსოფლიო მუსიკის ისტორიაში.

საღამოს ესწრებოდა საქართველოს კონსული იტალიის რესპუბლიკაში ნატალია კორძაია.

დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

ოქტომბერი, 2022

საქართველოს და შვედეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლის იუბილე სტოკჰოლმში

29 სექტემბერს, შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, შვედეთის სახელმწიფო არქივში, საქართველოს და შვედეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლის იუბილე აღინიშნა.

ღონისძიებას შვედეთში საქართველოს დიასპორის, შვედეთის პარლამენტის, მთავრობის, შვედეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, კულტურის და მას-მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოება გაეცნო საქართველოსა და შვედეთს შორის, სხვადასხვა არქივებში შენახული, 1918-21 წლებში დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველ დოკუმენტებსა და ფოტომასალას.

ასევე, ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა ცნობილი ფოტო-ხელოვანის, ბადრი ვადაჭკორიას ფოტო-გამოფენა „ეს ჩემი საქართველოა“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ავტორი პირადად ესწრებოდა ღონისძიებას და მას შვედეთში ქართული ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი გადაეცა. 30 სექტემბერს ჩვენს თანამემამულეებს, შვედეთის სახელმწიფო არქივში, ბადრი ვადაჭკორიას გამოფენის და საქართველო-შვედეთის დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი ისტორიული მასალის დათვალიერების საშუალება მიეცათ.

29 სექტემბერს, შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, შვედეთის სახელმწიფო არქივში, საქართველოს და შვედეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლის იუბილე აღინიშნა.

ღონისძიებას შვედეთში საქართველოს დიასპორის, შვედეთის პარლამენტის, მთავრობის, შვედეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, კულტურის და მას-მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დამსწრე საზოგადოება გაეცნო საქართველოსა და შვედეთს შორის, სხვადასხვა არქივებში შენახული, 1918-21 წლებში დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველ დოკუმენტებსა და ფოტომასალას.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

www.mfa.gov.ge

www.gda.ge

მისამართი:
ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

ელ-ფოსტა: diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO